

**დისტანციური სწავლების მსოფლიო გამოცდილების გეგმისა და საქართველოში დანერგვის საკითხისათვის თინათინ შერვაშიძე**  
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო ინივერსიტეტი

**ანოტაცია**

*XX საუკუნის შუა ხანებში მომწიფდა სწავლების ახალი ტექნოლოგიის - დისტანციური სწავლების სისტემის შექმნის. იგი ხშირ შემთხვევაში განათლების ტექნოლოგიათაგან მოიაზრება. სწავლების ეს ახალი საშუალება გამოიყენება მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში როგორც სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში.*

*დისტანციური სწავლების ფორმები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ნელა, მაგრამ მაინც ვითარდება. ამ მხრივ ყველაზე წინ რუსეთის ფედერაცია წავიდა. საქართველოშიც შეინიშნება სასიკეთო ძვრები.*

*დისტანციური სწავლება ორგანულად ეკუთვნის უწყვეტი განათლების სისტემას და პასუხობს ჰუმანურობის პრინციპებს, რომლის მიხედვითაც არავის უნდა წაერთვას შესაძლებლობა სწავლისა იმ მიზეზების გამო, როგორცაა მატერიალური სიდუხჭირე, გეოგრაფიული მდებარეობა, დროებითი ან სრული იზოლირება და ა.შ.*

*დისტანციური სწავლება არის მომავლის სისტემა, რომელიც ტრადიციული საგანმანათლებლო სისტემიდან საუკეთესო გამოცდილებას იღებს, ამდიდრებს მას ახალი ტექნოლოგიებით და ისე მკვიდრდება მსოფლიოში.*

**შესავალი**

დიდაქტიკაში ძირითად კატეგორიებს განათლება და სწავლება წარმოადგენენ. საკამათო, ალბათ, არ არის რომ მათი საფუძველი არის ოსტატურად განსაზღვრული დრო, საშუალებები და მეთოდები. "დისტანციური განათლება" ანუ დისტანციური სწავლება - სიახლეა პედაგოგიკაში, სწორედ, ამიტომაც, კვლევებმა მეცნიერულ-პედაგოგიკური და სასწავლო-პედაგოგიკური ხასიათისა, ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტებისა განათლების შესახებ, აგრეთვე ჟურნალისტურმა პუბლიაციებმა და საკონფერენციო-სასემინარო გამოსვლებმა აჩვენეს, რომ არ არსებობს ამ ცნების არსისა და შინაარსის ერთიანი განმარტება ან ერთიანი მიდგომა თუნდაც ტრადიციული სწავლების პროცესთან მიმართებაში.

ამ ნაშრომით შევეცდები გარკვეული წარმოდგენის შექმნას დისტანციური სწავლებისა და მის, თავისებურებებზე. იქნება ეს გავრცელების სფერო, მომხმარებლები თუ სხვა ამ სისტემისა. რათა ერთობლიობაში მოყვანით გაგებულ იქნას, რომ დისტანციური სწავლება ეს ის სისტემაა, რომელშიც რეალობდება სწავლება ახალი პედაგოგიკური ტექნოლოგიების გამოყენებით. სწორედ, ამ პედაგოგიკური ტექნოლოგიებით ხორციელდება ინდივიდის საგანმანათლებლო ცენზის მიღწევა და ამ მიღწევის დამტკიცება დაფიქსირება. შემდგომში დისტანციური სწავლება სიმბოლიკით იქნება მოხსენიებული.

საქართველოს საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომელიც მსოფლიო განათლების სისტემაში ინტეგრირებას წარმატებულად ცდილობს, წარმოუდგენელია სწავლების ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე,- ამის აუცილებელი პირობა კი დისტანციური სწავლების სისტემის შექმნაა. სისტემისა, რომელიც პირველ რიგში ახალი საგანმანათლებლო პოლიტიკის რეჟიმით და შინაარსით შეეცდება პროფესიულ

მომზადებას თუ გადამზადებას. ნაშრომის მიზანია, აგრეთვე, ხელი შეუწყოს დისტანციური სწავლების იმ პრიორიტეტის მიმართულებების დამუშავებას, რომელიც თსუ-ის რეალობაში უნდა არსებობდეს.

### დისტანციური სწავლების მოკლე ისტორიული ექსკურსი

XX საუკუნის შუა ხანებში მომრავლდა სწავლების ახალი ტექნოლოგიის - დისტანციური სწავლების შექმნის საშუალებები. დისტანციური სწავლება ხშირ შემთხვევაში განათლების ტექნოლოგიადაც მოიაზრება. ტელევიზიის, ინტერნეტის, აუდიო-ვიდეო საშუალებების განვითარებამ, მასალის ჩაწერისა და შენახვის ახალმა ტექნოლოგიებმა საშუალება მოგვცეს შეგვექმნა მონაცემების მდიდარი ბაზა, რომელიც თავის მხრივ იქცა სწავლების გამრავალფეროვნებისა და გამდიდრების საფუძველად. პედაგოგიკური ტექნოლოგიების ეს ახალი საშუალება გამოიყენება აშშ-ში, იაპონიაში და დასავლეთის მრავალ ქვეყანაში როგორც სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში.

დისტანციური სწავლების განვითარების ისტორიულ-პედაგოგიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ დღეისათვის მსოფლიოში საკმაოდ გამოცდილება დაგროვდა დისტანციური სწავლების სისტემის რეალიზაციის შესახებ. მსოფლიო მასშტაბით შეიმჩნევა ტენდენცია განათლების არასტანდარტულ ფორმაზე გადასვლისა, რაც გამოიხატება იმ უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვის ზრდაში, რომლებიც სტუდენტთა მომზადებას ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაბამისად ანხორციელებენ.

მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის, კონკურენციისა და მიგრაციის პირობებში კი დისტანციური სწავლებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ამ მიზნით აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში შეიქმნა “ღია უნივერსიტეტების” სისტემა, სადაც სხვადასხვა ასაკის, ქვეყნის და განათლების ადამიანები სწავლობენ. [1]

აშშ-ის დისტანციური სწავლების პროცესში ჩართულია ერთ მილიონამდე ცოდნის მიმღები, მაგალითად: ნაციონალური ტექნიკური, უნივერსიტეტის 1100-მა მაგისტრმა ჯერ კიდევ 90-იან წლებში სწორედ დისტანციური მეთოდით გაიარა სწავლება. საერთოდ ნახევარზე მეტი უნივერსიტეტებისა, რომლებიც ამ მეთოდს იყენებენ, ორიენტაციას ზრდასრულთა და შუახნის ასაკის ადამიანთა მომზადებაზე აკეთებენ. აშშ-ის დისტანციური სწავლების სისტემას ეწოდება “ელექტრონული უნივერსიტეტები”. არსებობს ტელეკომპიუტერული სისტემა “Еднет”. ასევე ანალოგიური სისტემები აქვს ინგლისს, კანადას, იაპონიას, გერმანიას, საფრანგეთს.

1969 წელს ინგლისში პრემიერ-მინისტრ გვილსონის ინიციატივით საფუძველი ჩაუყარა დისტანციური სწავლების სისტემას. 90-იან წლებში ინგლისში 40-მდე ასეთი სასწავლებელი იყო (65 ათასი სტუდენტი ყოველწლიურად). სწავლების ეს სისტემა 8-10 ჯერ უფრო იაფია, ვიდრე ტრადიციული. მაგალითად ინგლისში სტაციონარული სწავლების ერთი წელი ღირს 3000 ფუნტი სტერლინგი, დისტანციური სწავლების - 300 [1].

დისტანციური სწავლების სისტემის სტუდენტებს ეგზავნებათ სასწავლო მასალა და სახელმძღვანელოები (ხშირად ვიდეოკასეტების სახით). ამ პროცესს იმდენად სისტემატური და მაღალხარისხოვანი ხასიათი აქვს, რომ მაღალი აკადემური მოსწრების შედეგად სტუდენტებს ანიჭებენ ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის კვალიფიკაციას მეცნიერების თითქმის ყველა დარგში. დისტანციური სწავლების სისტემა არამარტო იყენებს სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებს, არამედ იმუშავებს

კიდევ სპეციალურ პროგრამებს, სახელმძღვანელოებს, რომელშიც გააზრებულია მეთოდებისა და საშუალებების, მიზნებისა და ამოცანების ერთობლიობა [1]

20 წელზე მეტია ესპანეთში ფუნქციონირებს დისტანციური სწავლების ნაციონალური უნივერსიტეტი [UNED], რომელიც მოიცავს 58 სასწავლო ცენტრს ქვეყნის შიგნით და ცხრას - გარეთ. უნივერსიტეტი შეიქმნა 1988 წელს იმ მიზნით, რომ უზრუნველყო დაუსწრებელი სწავლების პროცესის განხორციელება. ის წარმოსდგენს განათლების სამინისტროს ქვედანაყოფს და ემორჩილება უშუალოდ გენერალურ მდივანს უმაღლესი სწავლების სფეროში. მის სტრუქტურაში არის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა.

საფრანგეთის ნაციონალური დისტანციური სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს 35000 მომხმარებლის განათლებას მსოფლიო 120 ქვეყანაში. დისტანციური სწავლების მაგალითია, გერმანიის ქალაქ ტიუბინგენის ინსტიტუტში დისტანციური სწავლება ტელე-რადიო საშუალებებით ხდება. აქ 2500 ამ ტიპის კურსის მომზადებაში ჩართულია 5000 ლექტორ-მასწავლებელი.

70-იანი წლებიდან ფინეთში 10 უნივერსიტეტის ბაზაზე იწყება დისტანციური სწავლების ცენტრთა შექმნა. აგრეთვე იქმნებიან ე.წ. საზაფხულო უნივერსიტეტებიც, რომელთა როცხვიც 20-მდე აღწევს, სტუდენტთა რაოდენობა კი - 30000.

1974 წელს თურქეთში იქმნება ღია უნივერსიტეტი, რომლის მიზანია ქვეყნის განაპირა და მთის მოსახლეობის დახმარება განათლების უზრუნველყოფაში. ეს უნივერსიტეტი მსურველებს უზაფხულო სასწავლო პაკეტებს, სპეციალურად მათთვის ატარებს დამატებით რადიო და ტელე-პროგრამებს, საზაფხულო კურსებს, საღამოს სწავლებას ან სწავლებას უქმ დღეებში. ასეთი პროგრამით სწავლას გადის 120000 მსმენელი.

აღსანიშნავია, რომ დისტანციური სწავლება ვითარდება არა მხოლოდ ნაციონალური განათლების სისტემათა ფარგლებში, არამედ ცალკეულ კომპანიების მიერაც, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ბიზნეს სფეროს კადრებზე. კერძო კორპორაციული საგანმამათლელო ქსელები (დისტანციური სწავლების სისტემის 1/4-ია) შექმნილია ისეთი კომპანიების მიერ, როგორცაა IBM, General Motors, Ford და სხვანი. მათ მიერ შექმნილი საგანმანათლებლო სისტემებიდან ბევრი წინ უსწრებს უნივერსიტეტებში შექმნილ იგივე ტიპის სისტემებს, როგორც სირთულით, ასევე რაოდენობით.

სწავლების ეს ფორმა საგრძნობლად ჩამორჩენილია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რადგან XX საუკუნის 50-იან წლებში საბჭოთა მთავრობამ კიბერნეტიკა “ბურჟუაზიულ ცრუმეცნიერებად” გამოაცხადა. ამდენად კიბერნეტიკის მიღწევებით ვერ მოხდა და განათლების და სწავლების მეთოდები გამრავალფეროვნდა ანუ ტექნიკა განათლების მიღმა დარჩა ამიტომ სწავლების ეს ფორმა დასავლურ სისტემებთან კონკურენტუნარიანი ვერ არის.

თუმცა 1997 წლისათვის ამ ტიპის სასწავლებელთა რიცხვი 100-მდე გაიზარდა. 1994-96 წლებში მოსკოვში ჩატარდა საერთაშორისო კონპერენციები. ამ ტიპის ღონისძიებებში დიდი წვლილი მიუძღვის მოსკოვის ეკონომიკის, სტატისტიკის და ინფორმატიკის საწელმწიფო უნივერსიტეტს. ქ. ნოვოჩერკასკის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში მუშავდება დისტანციური სწავლების ფორმები. შეიქმნა 3 სახელმძღვანელო ფსიქოლოგიასა და უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში კომპიუტერულ ვარიანტში. დიდი მიღწევებია ქ. ტაგანროგის სახელმწიფო რადიოტექნიკურ

უნივერსიტეტში. მან თავისი ფილიალი გერმანიაში გახსნა (ფსიქოლოგიის სპეციალობით), სადაც რუსეთიდან ემიგრირებული მოქალაქეები სწავლობენ [1]

აღსანიშნავია, რომ ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში, იქ სადაც დაბალია სწავლებისა და განათლების დონე, დაბალია დისტანციური სწავლების დონეც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში განათლების დინე არც თუ დაბალია, პირიქით საკმაოდ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ხდება ჩვენს უნივერსიტეტებისა თუ სხვა სასწავლო დაწესებულებებში, დისტანციური სწავლება ჯერ კიდევ არ არის საყოველთაოდ გავრცელებული და განვითარებული. საქართველოში დისტანციური სწავლების პროცესი, ისევე როგორც ყველა დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ფერხდება მსგავსი მიზეზების გამო. ეს მიზეზებია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის არა საკმარისი დონე, კომპიუტერული ტექნიკის დეფიციტი, კავშირების შეზღუდული შესაძლებლობები, ლექტორ-მასწავლებელთა მატერიალური სტიმულირების დაბალი მაჩვენებელი.

საქართველოში დისტანციური სწავლება ნელი ტემპით, მაგრამ მაინც იკიდებს ფეხს. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე უკვე შექმნილია დისტანციური სწავლების კურსები. სულ ახლახანს კი თსუ-თან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა საერთაშორისო კომპიუტერულმა კომპანიამ “ინტელი“- ეს ამ კომპანიის პირველი განაცხადია ამიერკავკასიაში, რაც თავის მხრივ ნიშნავს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში.

დისტანციური სწავლების ელემენტები ჩვენს ქვეყანაში უფრო კომერციულ სასწავლებლებში გვხვდება, რომლებიც ან უცხოელებს ეკუთვნის ან უცხოეთიდან ფინანსირდება. დისტანციური მეთოდით ხელმძღვანელობენ ენის შემსწავლელი მცირე ინსტიტუტები და ის უმაღლესი სკოლები, რომლებიც ქართულ-უცხოურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ. აღსანიშნავია აგრეთვე სხვადასხვა საელჩოების პროგრამები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან კომპიუტერისა და ინტერნეტის მეშვეობით ქვეყნიდან გაუსვლელად მიღებული იქნას სასწავლო ხერხი ან დიპლომი ამა თუ იმ ენაში. ამ პროცესს ესწრება როგორც ადგილობრივი საელჩოების წარმომადგენლობა, ასევე არჩეული ქვეყნის შესაბამისი სასწავლო მხარე - ეს უკანასკნელი ინსტიტუტის საშუალებით, პირდაპირი ჩართვის პრინციპით ადევნებს თვალყურს გამოცდების პროცესს. ამ გამოცდისათვის მზადება საქართველოში მსურველთათვის გამოგზავნილი აუდიო-ვიდეო და საკითხავი მასალის საფუძველზე ხდება.

აღსანიშნავია, აგრეთვე, სხვადასხვა კომპანიების თუ სასწავლებლების მიერ ჩვენთან განხორციელებული მოკლე სასწავლო პროგრამები, რომლებიც აგრეთვე დისტანციური სწავლების მეთოდს ეყრდნობიან.

ყოველი ქვეყნის კონსტიტუცია, მათ შორის საქართველოსიც, არის თავისი მოქალაქეების განათლების უფლების გარანტი. ხილო ამ უფლებების რეალოზება შესაძლებელია “განათლების შესახებ კანონის” თანახმად. დასაშვებია განათლების მიღების სხვადასხვა ფორმების კომბინირება, იქნება ეს დასწრებული, ნახევრად დაუსწრებელი, დაუსწრებელი თუ ექსტერნი.

საქართველოს გეოპოლოტიკური და ეკონომიური სტატუსი ხშირ შემთხვევაში ზღუდავს პიროვნების განათლების უფლებას. კერძოდ, მის მოსახლეობას მაღალ პროფესიულ განათლებას. თსუ-ის ბაზაზე ფინანსების დაძველების შემთხვევაში

შესაძლებელია შეიქმნას დისტანციური სწავლების მაღალი დონე, რომელიც მუდმივად მოემსახურება:

I-მთის მოსალოებას; აქ შეიძლება დიფერენცია მოხდეს ორი მიმართულებით:

1. ახალგაზრდები, რომლებიც პირველად ეუფლებიან პროფესიას (პირველი სპეციალობა)
2. პედაგოგები, რომლებიც ვერ ახერხებენ პროფესიულ გამზადებას ან კვალიფიკაციის ამაღლების სამუშაოსაგან მოწყვეტით.

II-კიდევ მეტი, დღეს, როდესაც უმაღლესი განათლების რეფორმა ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიებით შეიარაღებულ პროფესორ-მასწავლებლებს მოითხოვს. აუცილებელია აუდიო-ვიდეო საშუალებებით ახალი სახელმძღვანელოების შექმნა პირველ როგში თვით ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების ათვისებისათვის, რომელსაც შემდეგ სხვადასხვა სპეციალობებზე სწავლების პროცესში დანერგავენ.

III-არანაკლებ მტკივნეული საკითხი - დღეს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ისტორიულად ქართულ მიწებზე (აზერბაიჯანში - საინგილო, თურქეთში - ლაზეთი), ასევე ფერეიდანში 5 მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს. მათ თავიანთი ეროვნული იდენტურობა საქართველოში უმაღლესი განათლების მიღებით სურთ. ამ პრობლემის დაძლევა კი დიდი ძალისხმევა სჭირდება. დისტანციური სწავლების სისტემით კი იგი განხორციელებადია. საჭიროა:

- ა) მაღალპროფესიული აუდიო-ვიდეო სასწავლო პროგრამების შედგენა.
- ბ) პროგრამების თემატიკას თან შესაბამისობა რომელთა გაგზავნა სისტემურ და კონტროლირებად ხასიატს მიიღებს.

IV-მნიშვნელოვანი იქნებოდა და ქართული ენის სწავლების ღია კურსების შექმნა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ყველა მსურველისათვის.

განათლების მიღების ფორმათა ანალიზი ნათელჰყოფს, რომ დისტანციური სწავლებაც არის განათლების მიღების ფორმა, რომლის მიღების დროს გამოიყენება როგორც ტრადიციული მეთოდები (როგორც დანარჩენი სწავლების ფორმების დროს), სპეციფიკური და ახალი კომპიუტერულ-სატელეკომინიკაციო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული მეთოდები [2].

როგორც ხედავთ, დისტანციური სწავლება ორგანულად ეკუთვნის უწყვეტი განათლების სისტემას და პასუხობს ჰუმანურობის პრინციპებსაც, რომლის მიხედვითაც არავის უნდა წაერთვას შესაძლებლობა სწავლისა ისეთი მიზეზების გამო, როგორცაა სიღარიბე, გეოგრაფიული მდებარეობა, დროებითი ან სრული იზოლირება, შესაძლებლობის არ ქონა მიიღოს მონაწილეობა სასწავლო პროცესში თვით სასწავლო დაწესებულებაში ფიზიკური ნაკლის ან პირადი თუ სამსახურეობრივი მოუცლელობის გამო და სხვა მრავალი შემთხვევა.

დისტანციური სწავლების პოტენციური მომხმარებლების სია ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. გეოგრაფიული პირობების გამო შეზღუდული პირები.
2. დამატებითი განათლების დაუფლების, კვალიფიკაციის ამაღლების მსურველი პირები.
3. აბიტურიენტები.
4. პირები, რომელთაც არა აქვთ საშუალება მიიღონ განათლება ტრადიციულ სისტემაში, უკანასკნელის შეზღუდული გამტარიანობის გამო, აგრეთვე მათ არ

- ძალუბთ მუშაობისა და სწავლის შეთავსება (ყარაული, სოფლის მცხოვრები, გლეხი და ა.შ.)
5. სახელმწიფო სამხედრო ძალებში მყოფი პირები.
  6. ობიექტები და სუბიექტები პენიტენციური სისტემისა (პატიმრები და ამ სფეროშივე მომსახურე პერსონალი).
  7. საზღვარგარეთულ დაწესებულებებში განათლების მიღების მსურველი პირები. (აქ იგულისხმება როგორც ამ ქვეყნის პირები, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქენი).
  8. ნიჭიერი, განსაკუთრებული ტალანტის მქონე ადამიანები, რომლებიც ისწრაფვიან მიიღონ დამატებითი ცოდნა, პარალელური განათლება, გაიარონ საგანმანათლებლო პროგრამა შემცირებულ დროში.
  9. სხვადასხვა კატეგორიის სპეციალისტები, რომლებიც საჭიროებენ გამზადებას ან კვალიფიკაციის ამაღლებას (მასწავლებლები, ლექტორები და ა.შ.)
  10. უმუშევრები და ლტოლვილები დარეგისტრირებული მუნიციპალურ დასაქმების ცენტრისა და ფედერალურ სამსახურში.[3]

დისტანციური სწავლების და განათლების ანალიზი საშუალებას იძლევა ავლნიშნოთ ის დამახასიათებელი შტრიხები და თავისებურებები, რომლებიც დს-ის თეორიასა და პრაქტიკას ახასიათებს (თუმცა ამ შემთხვევაში პრაქტიკა წინ უსწრებს თეორიას). ეს თავისებურიებანია:

1. მოქნილობა - (ადგილსა და დროში)
2. მოდელირება - (მოთხოვნის შესაბამისი პროგრამა)
3. პარალელურობა - (“წარმოებისგან მოუწყვეტლად”)
4. შორი ქმედებები
5. სინქრონულობა - (დროში)
6. მოცულობა - (ცოდნის მიმღებთა რაოდენობა არ არის კრიტიკული პარამეტრი)
7. რენტაბელობა - (ეკონომიური ეფექტურობა)
8. მასწავლებელ-მოსწავლე (განსაკუთრებული დამოკიდებულებები)
9. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები
10. სოციალურობა (განსაკუთრებულ სოციალურ ფენათა შორის ზღვარის დაწევა)

ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებები განსაზღვრავენ დისტანციური განათლების უპირატესობას, განათლების სხვა ფორმებთან შედარებით, მაგრამ აყენებს სპეციფიურ მოთხოვნებს, როგორც მსმენელის ასევე, პედაგოგის წინაშე, როთაც არცთუ აიოლებს სწავლების პროცესს, პირექით ზრდის შრომით დანახარჯებს ორივე მხრისათვის, [4] რადგან დისტანციური სწავლების პროცესში პიროვნული კონტაქტი მცირდება, მას ხშირად დისტანციურ მომზადებასაც უწოდებენ [1], რადგან ვერანაირი ტექნიკური თუ პროგრამული სისტემა ვერ იმოქმედებს სწავლების ფსიქოლოგიურ პროცესებსა თუ ფაქტორებზე. ვერაფერი შეცვლის მასწავლებლის ცოცხალ სიტყვას ურთიერთობაში, რადგან მხოლოდ ხასიათი ქმნის ხასიათს (ეს არის, ალბათ დისტანციური სწავლების “აქილევსის ქუსლი”) თუმცა, მასწავლებლის ფუნქცია - იყოს პირველ როგში არა ცოდნის გადამცემი, არამედ პიროვნების შემოქმედებითი უნარების გააქტიურების ორგანიზატორი, ითანამშრომლოს ცოდნის მიმღებთან - თვალსაჩინოა დისტანციური სწავლების პირობებში.

(მ.კლარინი, გ.სელევეკო, გ.სუჩკოვი)

ცნობილი ექსპერტები თვლიან, რომ მსოფლიოში განათლების საკითხი ისე ფორმირდება, რომ სავსებით პროგნოზირებადია დისტანციური სწავლების სულ უფრო განვითარება, მისი ელემენტების ტრადიციული სწავლების მეთოდებთან შერწყმა; რაც საბოლოოდ მიგვიყვანს განათლების მიღების სრულიად ახალ, უნივერსალურ ფორმასთან.

### **დასკვნა**

ამრიგად, ტრადიციული განათლების ფორმების საფუძველზე შეიქმნა და ახალი მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევების საფუძველზე სულ უფრო ვითარდება სწავლების დისტანციური ფორმა, რომელიც, მართალია წარმოიშვა XX საუკუნეში, მაგრამ პროგნოზების თანახმად საყოველთაო გავრცელება-აღიარებას XXI საუკუნეში მოიპოვებს, ანუ დისტანციური სწავლება არის მომავლის სისტემა, რომელიც ნელ-ნელა მკვიდრდება მსოფლიოში.

იგი ყველაზე უფრო მოქნილი და მობილური განათლების სისტემაა, რომელიც სწრაფად მოგზაურობს ადგილსა და დროში. შლის ყოველგვარ საზღვრებს და აახლოებს ადამიანებს აზრებით, გამოცდილებით, ცოდნითა და უნარ-შესაძლებლობებით.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, საქართველოსათვის დისტანციური სწავლების განვითარება საკმაოდ ბევრის მომტანი იქნებოდა. დავასახელებ მხოლოდ ორ არგუმენტს: პირველ რიგში ცოდნის მიღების მიზნით ამდენი ახალგაზრდა აღარ მიატოვებდა ქვეყანას და მეორეც - ლექტორ-მასწავლებლებს ეკონომიკურად შეზღუდულ რეალობაშიც საშუალება ექნებოდათ ცოდნის ამაღლებისა და მსოფლიოში კულტურული ინტეგრაციისა.

რადგანაც სწავლების დისტანციური ფორმა ცოდნის მიმღებისაგან სერიოზულ კომპიუტერულ მომზადებას მოითხოვს, მისი გამოყენება საშუალო სკოლაში პრაქტიკურად შეუძლებელია. იგი პროფესიული განათლების სისტემის პრეროგატივაა და შეიძლება დაინერგოს როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე კოლეჯებში, ტექნიკუმში, პროფესიული გამზადების ცენტრებში. ეს ყველაფერი მდიდარ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას მოითხოვს ამიტომაც არის იგი ჩვენი ქვეყნის განათლებისა და სწავლების ხვალისდელი დღე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Педагогические технологии, Под общей ред-ей В.С. Кукушкина – М. Изг. Центр “Март” 2004г.
2. Андреев А.А; Салдаткин В.И, Дистанционное обучение: сущность, технология, организация. – М. Изд-во НИИДО, 1999г.
3. Атутов П.Р. Технология и современное образование I I Педагогика 1996, N2.
4. Громов Г.Р. Очерки информационной технологии-М. 1993
5. Гульчевская В.Г. Сщвременные пкдагогические технологии-Ростов и/д. 1999.
6. Селевко Г.К. Современные образовальные технологии-М. Народное образование, 1998.

---

სტატია მიღებულია: 2005-04-28